



## სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

გადაწყვეტილება №გ-1/100/2020

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

20/03/2020

### აღწერილობითი ნაწილი

2020 წლის 21 იანვარს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის (შემდგომში - პარლამენტის კომიტეტი) სხდომაზე გასაჯაროვდა პერსონალური მონაცემების შემცველი 04 (ოთხი) ვიდეოჩანაწერი, რომელთაგან პირველ ვიდეოჩანაწერზე ასახული იყო საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლისა და მსჯავრდებულის შეხვედრის ფაქტი (შემდგომში - ვიდეოჩანაწერი 1); მეორე ვიდეოჩანაწერზე ფიქსირდებოდა გარკვეული ინციდენტი მსჯავრდებულსა და პენიტენციური დაწესებულების (შემდგომში - დაწესებულება) სამედიცინო პერსონალს შორის, რომელსაც ასევე ესწრებოდა საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი (შემდგომში - ვიდეოჩანაწერი 2); მესამე ვიდეოჩანაწერი ასახავდა ინციდენტს მსჯავრდებულსა და სამედიცინო პერსონალს შორის (შემდგომში - ვიდეოჩანაწერი 3); ხოლო, მეოთხე ვიდეოჩანაწერზე ასევე ფიქსირდებოდა ინციდენტი ბრალდებულსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის (შემდგომში - ვიდეოჩანაწერი 4).

ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერების პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე გასაჯაროების შემდეგ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გადამოწმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომში - სპეციალური პენიტენციური სამსახური) სოციალურ ქსელ Facebook-ის ოფიციალური გვერდი (შემდგომში - სოციალური ქსელის გვერდი) და ოფიციალური ვებ-გვერდი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ:

- ✓ პარლამენტის კომიტეტის სხდომის ამსახველი სრული ვიდეოჩანაწერი, რომელიც, მათ შორის, შეიცავდა ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების ფაქტებს, საქართველოს პარლამენტის სოციალური ქსელის გვერდიდან გაზიარებულ იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სოციალური ქსელის გვერდზე;

- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სოციალური ქსელის გვერდზე და ოფიციალურ ვებ-გვერდზე აიტვირთა ვიდეოჩანაწერთა კრებული, რომელიც აერთიანებდა პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერების ფრაგმენტებს (ვიდეოჩანაწერი 1, 3 და 4);
- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სოციალური ქსელის გვერდზე გასაჯაროვდა ვიდეოჩანაწერი 1 სრულად.

საგულისხმოა, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული პირების გარდა, 2020 წლის 21 იანვარს გასაჯაროებულ ვიდეოჩანაწერებზე ასახულ სხვა პირთა, კერძოდ, დაწესებულების თანამშრომელთა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა სახეები არ იყო დაფარული, შესაბამისად, შესაძლებელი იყო მათი იდენტიფიცირება. გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერებიდან არც ერთი მათგანი ამავდროულად არ წარმოადგენდა აუდიოჩანაწერს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 22 იანვრის №03/08 ბრძანებით მიღებულ იქნა 2020 წლის 22 იანვრიდან 20 მარტის ჩათვლით პერიოდში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის შემოწმების გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავდა 2020 წლის 21 იანვარს გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერების სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოპოვების, შენახვისა და გამჟღავნების კანონიერების შესწავლას.

**შემოწმების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები და გამოვლენილი გარემოებები:**

შემოწმების ფარგლებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ მოძიებულ იქნა ინფორმაცია პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებასთან დაკავშირებით, რის შედეგად დადგინდა, რომ:

- ✓ 2019 წლის 24 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სპეციალური ანგარიში - „№2, №8, №14 და №15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის შედეგების თაობაზე“ (შემდგომში - სპეციალური ანგარიში<sup>1</sup>). სპეციალური ანგარიშის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, 2019 წლის ივლისისა და აგვისტოს თვეში განახორციელა ყველაზე დიდი ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთისა და დახურული ტიპის პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების (№2, №8, №14 და №15 დაწესებულებები) მონიტორინგი. სპეციალურ ანგარიშში ხაზგასმულია როგორც სისტემური ხასიათის, ასევე, თითოეული დაწესებულებისთვის დამახასიათებელ ხარვეზებსა/გამოწვევებზე და მასში მიმოხილულია შემდეგი საკითხები: ძალადობისგან თავისუფალი გარემო; ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და დოკუმენტირება; დაცული, უსაფრთხო და მოწესრიგებული პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრირება; პატიმრობის პირობები; კონტაქტი გარე სამყაროსთან; მოთხოვნა/საჩივარი; განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრები; სამედიცინო მომსახურება და ფსიქიკური ჯანდაცვა. სპეციალურ ანგარიშში ასახულია

<sup>1</sup><http://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/n2-n8-n14-da-n15-penitentsiuri-datsesebulebebis-monitoringis-vizitis-shemdgomi-angarishi>.

რეკომენდაციები სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) მიმართ, ასევე, წინადადებები საქართველოს პარლამენტის მიმართ;

- ✓ 2020 წლის 21 იანვარს პარლამენტის კომიტეტის სხდომა გაიმართა პარლამენტის რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე და განიხილებოდა საქართველოს სახალხო დამცველისა და მინისტრის მოხსენებები სპეციალურ ანგარიშთან დაკავშირებით<sup>2</sup>. პარლამენტის კომიტეტის სხდომა გადაიცემოდა პირდაპირი ტრანსლაციით.

საქმესთან დაკავშირებული გარემოებების დაზუსტებისა და საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის 2020 წლის 24 იანვარს №SIS 7 20 00001069 წერილით სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა 2020 წლის 10 თებერვლის №SIS 3 20 00002064 საპასუხო წერილით, 2020 წლის 18 თებერვალს, 25 თებერვალსა და 11 მარტს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამართული შეხვედრის ფარგლებში, ასევე, 2020 წლის 06 და 16 მარტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით წარმოდგენილი ინფორმაციით განმარტა, რომ:

- ✓ კომიტეტის სხდომაზე გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერები გადაღებულია №6 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის (შემდგომში - №6 დაწესებულება), №3 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთისა (შემდგომში - №3 დაწესებულება) და №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის (შემდგომში - №8 დაწესებულება) დაწესებულებებში. კერძოდ, ვიდეოჩანაწერი 1-ის ვიდეოჩაწერა განხორციელდა 2019 წლის 19 აპრილს, №6 დაწესებულებაში; ვიდეოჩანაწერი 2-ის ვიდეოჩაწერა განხორციელდა 2019 წლის 26 დეკემბერს №3 დაწესებულებაში; ვიდეოჩანაწერი 3-ის ვიდეოჩაწერა განხორციელდა 2019 წლის 21 ივნისს №3 დაწესებულებაში; ხოლო ვიდეოჩანაწერი 4-ის ვიდეოჩაწერა განხორციელდა 2019 წლის 18 იანვარს №8 დაწესებულებაში;
- ✓ №3 და №6 დაწესებულებებში ვიდეოჩაწერის გზით მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა პატიმრობის კოდექსის მე-12<sup>1</sup> მუხლი, ხოლო №8 დაწესებულებაში მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი იყო ამავე კოდექსის 54-ე მუხლი (*მათ შორის, 54-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი უფლებამოსილია ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობის კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილითა და მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა პირობებთან შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე*). ამასთან, №8 დაწესებულებაში ვიდეოჩაწერას ადგილი ჰქონდა (ვიდეოჩანაწერი 4) დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის დერეფანში, სადაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ელექტრონული საშუალებით

<sup>2</sup><http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komiteti/axali-ambebi-adamianis/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komitetma-saxalxo-damcvelsa-da-iusticiis-ministrs-mousmina.page;>

<http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komiteti/anonsi/21-ianvariadamianisuflebebi21012020.page;>

მეთვალყურეობა და კონტროლი ხორციელდება მუდმივად. რაც შეეხება ზოგადად ვიდეოჩაწერას, საგულისხმოა, რომ აღნიშნული რეგულირდება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისი №35 ბრძანებით (შემდგომში - მინისტრის №35 ბრძანება), რომლის მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისას, ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში, რა დროსაც ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების შევსებისას ხორციელდება ახალი ინფორმაციის ჩაწერა ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის განადგურების შედეგად. გადაღებული მასალა ინახება არანაკლებ 30 დღის ვადით;

✓ №3 და №6 დაწესებულებებში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, სადაც გარკვევით მითითებულია, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე მიმდინარეობს ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობა. შესაბამისად, აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებული პირები, ისევე როგორც განთავსებული მსჯავრდებულები ინფორმირებულნი არიან ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობის თაობაზე. ამასთან, მართალია არ ხდება დაწესებულებებში დასაქმებული პირების წერილობითი ფორმით ინფორმირება, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დაწესებულებების დებულებები, რაც დასაქმებულთათვის წარმოადგენს სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნას, შეიცავს ინფორმაციას დაწესებულებების ტერიტორიაზე მიმდინარე ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობის თაობაზე. ასევე, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, დაწესებულებებში განთავსებისთანავე ეცნობებათ ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, ვიდეოჩაწერი 3-ის ვიდეოჩაწერა განხორციელდა №3 დაწესებულების სამედიცინო პუნქტში (პირველადი ჯანდაცვის ოთახში), სადაც ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობის თაობაზე წერილობითი გაფრთხილება არ ხდება. რაც შეეხება ვიდეოჩაწერებს - 1-ს და 2-ს, მათი ვიდეოჩაწერა მოხდა №6 და №3 დაწესებულების საკნებში, სადაც მსჯავრდებულები წერილობითი ფორმით იყვნენ გაფრთხილებულნი ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობის თაობაზე;

✓ №8 დაწესებულებაში, მსგავსად სხვა დაწესებულებებისა, დასაქმებულ პირებს აქვთ სრული ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ. რაც შეეხება ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება გააფრთხილოს ბრალდებულო/მსჯავრდებულო მის მიმართ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის დაწესების თაობაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ვიდეოჩაწერი 4 გადაღებულია №8 დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის დერეფანში, სადაც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (*მინისტრის №35 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების დერეფნებში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო-სამეურნეო ადგილებში, ეზოებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე დაწესებულების გარე პერიმეტრზე, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და*

კონტროლი, როგორც წესი, ხორციელდება მუდმივად), მიმდინარეობს ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობა და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ტერიტორიაზე ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის თაობაზე მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა წერილობითი ფორმით გაფრთხილება არ ხდება;

- ✓ რაც შეეხება მესამე პირებს, კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს, მათთვის დაწესებულებებში მიმდინარე ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ცნობილია პატიმრობის კოდექსისა და თითოეული დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ მინისტრის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე. მითითებული სამართლებრივი აქტები არის ნორმატიული ხასიათის და კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებზეც გარკვევით არის მითითება ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის თაობაზე, ხოლო უშუალოდ დაწესებულებებში განთავსებულ საკნებში ვიდეოსამეთვალყურეო კამერა დამონტაჟებულია ადვილად შესამჩნევ ადგილას;
- ✓ ვიდეოჩანაწერი 1-ის დაარქივება განხორციელდა 2019 წლის 19 აპრილს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 აპრილის დასაბუთებული გადაწყვეტილებით (შემდგომში - გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება), მინისტრის №35 ბრძანების მე-2, მე-10 და მე-15 მუხლების შესაბამისად. გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 18 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, იმავე წლის 19 აპრილს მომხდარიყო №6 დაწესებულების 34-ე საკანში განთავსებული მსჯავრდებულისა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის შეხვედრის ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაარქივება, რადგან არსებობდა ვარაუდი, რომ მსჯავრდებულს, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის მეშვეობით, სხვა პირებისთვის გადაცემის მიზნით, არასათანადო წესით, შესაძლოა მოეხდინა ინფორმაციის წერილობით გატანა №6 დაწესებულებიდან, რაც აკრძალულია პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების (შემდგომში - №6 დაწესებულების დებულება) 41-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით. აღნიშნული ვარაუდი იმ კონკრეტული შეხვედრის ფარგლებში არ გამოიკვეთა, თუმცა, ვიდეოჩანაწერის წაშლა ამ დრომდე არ მომხდარა და იგი დღემდე ინახება სპეციალური პენიტენციური სამსახურის საამისოდ დაცულ ბაზაში. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მსჯავრდებულის მიერ სამომავლოდ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მითითებული ქმედების ჩადენის მცდელობას და გამოიკვეთოს ვიდეოჩანაწერი 1-ზე ასახული გარემოებების დადარების აუცილებლობა;
- ✓ ვიდეოჩანაწერი 2-ის, 3-ის და 4-ის დაარქივება განხორციელდა მინისტრის №35-ე ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რადგან ყველა მათგანი ერთდროულად შეიცავდა, როგორც სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევის, ასევე სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს. კერძოდ, ვიდეოჩანაწერი 2-ის დაარქივება

განხორციელდა 2019 წლის 29 დეკემბერს, №3 დაწესებულების დირექტორის შეტყობინების საფუძველზე, რომლითაც იგი ითხოვდა მსჯავრდებულის თვითდაზიანების ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაარქივებას და შემდგომი რეაგირების მიზნით, სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოსათვის (შემდგომში - დასავლეთის სამმართველო) გადაცემას. ვიდეოჩანაწერი 3-ის დაარქივება განხორციელდა 2019 წლის 23 ივნისს, დასავლეთის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე, მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის №073200619002 საქმესთან (მსჯავრდებულის მიერ დაწესებულების მთავარი ექიმის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე) დაკავშირებით, ხოლო, ვიდეოჩანაწერი 4 დაარქივდა 2019 წლის 18 იანვარს, სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამომიებო და ოპერატიული სამმართველოს (შემდგომში - საგამომიებო და ოპერატიული სამმართველო) გამომიებლის მოთხოვნის საფუძველზე სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის №073150119006 საქმესთან (ბრალდებულების მიერ დაწესებულების თანამშრომლის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე) დაკავშირებით;

- ✓ სისხლის სამართლის (№073171218002 და №086150119006) საქმეებზე რომელთა გამოც განხორციელდა ვიდეოჩანაწერი 3-ისა და 4-ის დაარქივება, ამ დრომდე მიმდინარეობს გამოძიება. ხოლო, ვიდეოჩანაწერ 2-ზე ასახულ შემთხვევასთან დაკავშირებით ხორციელდება წინასაგამომიებო მოქმედებები. შესაბამისად, მითითებული ვიდეოჩანაწერების განადგურება ამ დრომდე არ მომხდარა;
- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროს ვიდეოჩანაწერები გადაეცა პარლამენტის კომიტეტის სხდომის გამართვამდე. კერძოდ, ვიდეოჩანაწერი 1, 3 და 4 სამინისტროს გადაეცა 2019 წლის 19 ნოემბერს, მას შემდეგ რაც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაგზავნილ იქნა სპეციალური ანგარიში. რაც შეეხება, ვიდეოჩანაწერ 2-ს, აღნიშნული სამინისტროს გადაეცა 2020 წლის 17 იანვარს, პარლამენტის კომიტეტის სხდომამდე გამართული კონსულტაციების დროს. კერძოდ, მას შემდეგ, რაც სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიიღო პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების გადაწყვეტილება. სამინისტროსთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შემდგარა;
- ✓ სპეციალური ანგარიში ადრესატად მოიხსენიებდა სამინისტროსა და მინისტრს. ეს უკანასკნელი იყო მოპასუხის როლში, წარმოადგენდა სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და მისი თანამშრომლების ინტერესს, ანგარიშვალდებული იყო საქართველოს პარლამენტის წინაშე სამინისტროსთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. შესაბამისად, 2020 წლის 21 იანვარს გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერები გადაეცა სამინისტროს, რათა მომხდარიყო საზოგადოებისთვის რეალური ინფორმაციის მიწოდება, თუ რა ფორმით და როგორი ობიექტურობით ახორციელებენ დაწესებულებების მონიტორინგს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ უფლებამოსილი ზოგიერთი პირი, როგორია მათი დამოკიდებულება ერთის მხრივ, მსჯავრდებულებთან, ხოლო მეორეს მხრივ, როგორი ინდიფერენტულნი არიან ისინი დაწესებულებების თანამშრომლების დარღვეული უფლებების მიმართ. სწორედ საზოგადოების ინფორმირებისა და დაწესებულებების თანამშრომელთა კანონიერი ინტერესების დაცვის

მიზნებიდან გამომდინარე სპეციალური პენიტენციური სამსახურის გადაწყვეტილებით აღნიშნული ვიდეოჩანაწერები გადაეცა სამინისტროს;

- ✓ რაც შეეხება 2020 წლის 21 იანვარს გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერების სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე შემდგომ განთავსებას, საგულისხმოა, რომ აღნიშნული განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე. კერძოდ, 2012 წლის შემდეგ პენიტენციური სისტემა მუდმივად იმყოფება საზოგადოების დაკვირვების ქვეშ, რაც განპირობებულია იმ მძიმე მემკვიდრეობით, რომელიც 2012 წლის შემდეგ დახვდა ჯერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, შემდეგ კი მის უფლებამონაცვლეს, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს. 2003-2012 წლამდე პერიოდში პენიტენციურ სისტემაში არსებული ძალადობრივი პოლიტიკა, რომელსაც არაფრად მიაჩნდა ადამიანის ძირითადი უფლებები, მუდმივად ბადებს კითხვებს საზოგადოებაში და აღნიშნულის გამო, საკმაოდ ხშირად სრულიად უსაფუძვლო და დაუმსახურებელი კრიტიკის ობიექტები ხდებიან პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული პირები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლისა და პირადი ღირსების შელახვის ფასად ახერხებენ მსჯავრდებულებზე ზრუნვას და დაწესებულებებში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ პირობებში, სპეციალური ანგარიში, რომელიც რეალობაზე მეტად ასახავდა არსებულ ნაკლოვანებებს ან/და ცდილობდა არარსებული რეალობის წარმოჩენას, საჭიროებდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან შესაბამისი ქმედებების განხორციელებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სწორედ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების კანონიერი ინტერესების დასაცავად და საზოგადოების მხრიდან არსებული მაღალი საჯარო ინტერესის დასაკმაყოფილებლად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საზოგადოებისთვის მომხდარიყო რეალური სურათის ჩვენება, თუ როგორ ახორციელებს მონიტორინგს საქართველოს სახალხო დამცველის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც საკმაოდ ხშირად მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინტერესებს იცავენ და იცავენ სწორედ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ინტერესების ხარჯზე. აღნიშნული ჩანაწერების ჩვენებით პასუხი გაეცა ბევრ შეკითხვას, მათ შორის, სპეციალური ანგარიშის ობიექტურობასთან მიმართებით. ზემოაღნიშნული არგუმენტაციისა და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, მითითებული ვიდეოჩანაწერები სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ასევე გადაეცა სამაუწყებლო კომპანიებს და საინფორმაციო სააგენტოებს - „ინტერპრესნიუსსა“ და „Report.ge“-ს. ვიდეოჩანაწერების გადაგზავნა მოხდა ელექტრონული ფორმით და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ ინახება სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში.

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში 2020 წლის 25 თებერვალს გამართული შეხვედრის ფარგლებში, ასევე, ამავე წლის 16 მარტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ „ელექტრონული მეთვალყურეობის/კონტროლის განხორციელების თაობაზე გაფრთხილების შესახებ“ 2019 წლის 07 მარტის ოქმი (შემდგომში - 2019 წლის 07 მარტის

ოქმი), რომლის მიხედვით, განხორციელდა ვიდეოჩანაწერ 1-ზე ასახული მსჯავრდებულის გაფრთხილება 2019 წლის 07 მარტიდან №6 დაწესებულების მე-15 საკანში მის მიმართ ელექტრონული-ვიზუალური მეთვალყურეობის დაწესების თაობაზე. შენიშვნის გრაფაში მითითებულია, რომ მსჯავრდებულმა უარის განაცხადა 2019 წლის 07 მარტის ოქმის ხელმოწერაზე;

- ✓ „ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის ან/და აუდიო-ვიდეო ჩაწერის განხორციელების თაობაზე გაფრთხილების შესახებ“ 2019 წლის 05 დეკემბრის ოქმი (შემდგომში - 2019 წლის 05 დეკემბრის ოქმი), რომლის მიხედვით, განხორციელდა ვიდეოჩანაწერ 2-ში ასახული მსჯავრდებულის გაფრთხილება 2019 წლის 05 დეკემბრიდან №3 დაწესებულების №221 საკანში მის მიმართ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის/კონტროლის დაწესების თაობაზე. შენიშვნის გრაფაში მითითებულია, რომ მსჯავრდებულმა უარის განაცხადა 2019 წლის 05 დეკემბრის ოქმის ხელმოწერაზე;
- ✓ გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, განხორციელდა №6 დაწესებულების 34-ე საკანში განთავსებული მაღალი რისკის მსჯავრდებულის და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის შეხვედრის ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაარქივება. გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით, მითითებული ვიდეოჩანაწერის დაარქივება განხორციელდა, რადგან არსებობდა ვარაუდი, რომ №6 დაწესებულების 34-ე საკანში განთავსებულ მაღალი რისკის მსჯავრდებულს, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის მეშვეობით, სხვა პირებისთვის გადაცემის მიზნით, არასათანადო წესით, შესაძლოა მოეხდინა ინფორმაციის წერილობით გატანა №6 დაწესებულებიდან, რაც აკრძალულია პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილითა და №6 დაწესებულების დებულების 41-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით. გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით განისაზღვრა ვიდეოჩანაწერის დაარქივების თაობაზე ოქმის შედგენისა და შესაბამისი გარემოებების აღმოფხვრამდე ვიდეოჩანაწერის საამისოდ დაცულ ბაზაში შენახვის ვალდებულება (*ვიდეოჩანაწერ 1-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი*);
- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს (შემდგომში - სამმართველო) უფროსის 2019 წლის 18 აპრილის ოქმი (შემდგომში - 2019 წლის 18 აპრილის ოქმი), რომლის მიხედვით, მინისტრის №35-ე ბრძანების მე-2 და მე-15 მუხლების თანახმად, გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე, სამმართველოს უფროსს დაევალა, 2019 წლის 19 აპრილს №6 დაწესებულების №34 საკანში განთავსებული მსჯავრდებულისა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის შეხვედრის ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაარქივება, ვინაიდან, არსებობდა ვარაუდი, რომ მსჯავრდებულს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის მეშვეობით, სხვა პირებისთვის გადაცემის მიზნით, შესაძლოა №6 დაწესებულებიდან ინფორმაცია გაეტანა წერილობით (*ვიდეოჩანაწერ 1-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი*);
- ✓ „გადაღებული მასალის დაარქივების თაობაზე“ სამმართველოს უფროსის მიერ შედგენილი 2019 წლის 19 აპრილის ოქმი (შემდგომში - 2019 წლის 19 აპრილის ოქმი),



რომელშიც მითითებულია, რომ ვიდეოჩანაწერის დაარქივება განხორციელდა 2019 წლის 19 აპრილს, 19:00 საათზე, სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის ოთახში, მინისტრის №35 ბრძანების მე-2 და მე-15 მუხლების საფუძველზე. ამავე ოქმის თანახმად, დაარქივებული ვიდეოჩანაწერი ასახავს №6 დაწესებულების, 34-ე საკანში, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის მსჯავრდებულთან ვიზიტს, რომელიც გრძელდება 13:34 საათიდან 18:11 საათამდე *(ვიდეოჩანაწერ 1-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი);*

- ✓ №3 დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 26 დეკემბრის №386460/21 შეტყობინება (შემდგომში - დაწესებულების დირექტორის №386460/21 შეტყობინება), რომლითაც 2019 წლის 26 დეკემბერს, დაახლოებით 20:55 საათზე, დასავლეთის სამმართველოს შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა №3 დაწესებულების №221-ე საკანში განთავსებული მსჯავრდებულის მიერ თვითდაზიანების მიყენების ამსახველი მასალები. აღნიშნული შეტყობინება ასევე გაეგზავნა სამმართველოს უფროსს და ეთხოვა ზემოაღნიშნული ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაარქივება და მისი დასავლეთის სამმართველოსთვის გადაგზავნა *(ვიდეოჩანაწერ 2-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი);*
- ✓ „გადაღებული მასალის დაარქივების თაობაზე“ სამმართველოს უფროსის 2019 წლის 29 დეკემბრის ოქმი (შემდგომში - 2019 წლის 29 დეკემბრის ოქმი), რომლის თანახმად, 2019 წლის 29 დეკემბერს, 12:35 საათზე, დაწესებულების დირექტორის №386460/21 შეტყობინების საფუძველზე, სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის ოთახში განხორციელდა ვიდეოჩანაწერის დაარქივება *(ვიდეოჩანაწერ 2-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი);*
- ✓ სამმართველოს უფროსის 2020 წლის 07 თებერვლის №36044/01 წერილი, რომლის თანახმად, დასავლეთის სამმართველოს გადაეგზავნა დაარქივებული ვიდეოჩანაწერი *(ვიდეოჩანაწერ 2-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი);*
- ✓ სამმართველოს უფროსის სახელზე წარდგენილი დასავლეთის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 21 ივნისის №9396 წერილი (შემდგომში - დასავლეთის სამმართველოს №9396 წერილი), რომელშიც აღნიშნულია, რომ დასავლეთის სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის №073200619002 საქმე, მსჯავრდებულის მიერ დაწესებულების მთავარი ექიმის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე და მოთხოვნილია 2019 წლის 21 ივნისის, 16:30 საათიდან 18:00 საათამდე პერიოდში, №3 დაწესებულების სამედიცინო ნაწილის პირველადი ჯანდაცვის ოთახისა და მისი მიმდებარე დერეფნების ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაარქივება *(ვიდეოჩანაწერ 3-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი);*
- ✓ „გადაღებული მასალის დაარქივების შესახებ“ სამმართველოს უფროსის 2019 წლის 24 ივნისის ოქმი (შემდგომში - 2019 წლის 24 ივნისის ოქმი), რომლის თანახმად, დასავლეთის სამმართველოს №9396 წერილის საფუძველზე, 2019 წლის 23 ივნისს, 22:34 საათზე, სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის ოთახში განხორციელდა მითითებული ვიდეოჩანაწერის დაარქივება *(ვიდეოჩანაწერ 3-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი);*
- ✓ დასავლეთის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე წარდგენილი სამმართველოს უფროსის 2019 წლის 27 ივნისის №190151/01 წერილი,

რომლითაც დასავლეთის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ეცნობა, რომ განხორციელდა დასავლეთის სამმართველოს №9396 წერილში მითითებული მასალის დაარქივება *(ვიდეოჩანაწერ 3-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი)*;

- ✓ სამმართველოს უფროსის სახელზე წარდგენილი დასავლეთის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 18 სექტემბრის №13658 წერილი, რომლითაც დასავლეთის სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის №073171218002 საქმეზე სამმართველოში შესასრულებლად გადაიგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - ნანა ჯოხაძის 2019 წლის 06 სექტემბრის №11/ა-823-19 განჩინება (შემდგომში - 2019 წლის 06 სექტემბრის №11/ა-823-19 განჩინება) ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ *(ვიდეოჩანაწერ 3-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი)*;
- ✓ 2019 წლის 06 სექტემბრის №11/ა-823-19 განჩინება, რომლის თანახმად, დასავლეთის სამმართველოს გამომძიებლებს ნება დაერთოთ სისხლის სამართლის №073171218002 საქმეზე *(შენიშვნა: სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, დასავლეთის სამმართველოს №9396 წერილში სისხლის სამართლის საქმის ნომრის მითითებისას დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ნაცვლად სისხლის სამართლის №073171218002 საქმისა, მითითებულ იქნა სისხლის სამართლის №073200619002 საქმე)* სამმართველოდან გამოეთხოვათ 2019 წლის 21 ივნისს, 16:30 საათიდან 18:00 საათამდე დროის პერიოდში, №3 დაწესებულების სამედიცინო ნაწილის პირველადი ჯანდაცვის ოთახში და მის მიმდებარე დერეფნებში, მსჯავრდებულის მიერ იმავე დაწესებულების მთავარი ექიმის მიმართ განხორციელებული სხვაგვარი ძალადობის და ფიზიკური შეურაცხყოფის ამსახველი ვიდეოჩანაწერები *(ვიდეოჩანაწერ 3-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი)*;
- ✓ დასავლეთის სამმართველოს გამომძიებლის მიერ შედგენილი 2019 წლის 26 სექტემბრის ოქმი - „ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ“ (შემდგომში - 2019 წლის 26 სექტემბრის ოქმი), რომლის თანახმად, სისხლის სამართლის №073171218002 საქმეზე განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამომძიებო მოქმედება. კერძოდ, სამმართველოდან გამოთხოვილ იქნა დასავლეთის სამმართველოს №9396 წერილის საფუძველზე დაარქივებული ვიდეომასალა (ჩაწერილ იქნა DVD დისკზე) და დაერთო სისხლის სამართლის საქმეს *(ვიდეოჩანაწერ 3-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი)*;
- ✓ საგამომძიებო და ოპერატიული სამმართველოს გამომძიებლის 2019 წლის 15 იანვრის №609 წერილი (შემდგომში - საგამომძიებო და ოპერატიული სამმართველოს №609 წერილი), რომლის თანახმად სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის №073150119006 საქმეზე (ბრალდებულის მიერ დაწესებულების თანამშრომლის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე) ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოთხოვნილ იქნა 2019 წლის 15 იანვრის 13:00 საათიდან - 2019 წლის 15 იანვრის 16:00 საათამდე პერიოდში, №8 დაწესებულების მეორე სარეჟიმო კორპუსის №4 სამართლო საკანში, მის მიმდებარე დერეფანში, მეორე სარეჟიმო კორპუსის პირველი სართულის ფლიგელსა და დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის ყოფნისა და

გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერების დაარქივება *(ვიდეოჩანაწერ 4-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი);*

- ✓ „გადაღებული მასალის დაარქივების შესახებ“ სამმართველოს უფროსის 2019 წლის 18 იანვრის ოქმი (შემდგომში - 2019 წლის 18 იანვრის ოქმი), რომლის თანახმად, საგამოძიებო და ოპერატიული სამმართველოს №609 წერილის საფუძველზე, 2019 წლის 18 იანვრის 00:05 საათზე, სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის ოთახში განხორციელდა ვიდეოჩანაწერის დაარქივება *(ვიდეოჩანაწერ 4-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი);*
- ✓ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე - გიორგი კერატიშვილის 2019 წლის 19 თებერვლის №1220/19ს განჩინება - ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე (შემდგომში - 2019 წლის 19 თებერვლის №1220/19ს განჩინება), რომლის თანახმად, ნება დაერთოთ საგამოძიებო და ოპერატიული სამმართველოს გამომძიებლებს სისხლის სამართლის №086150119006 საქმეზე *(შენიშვნა: სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, საგამოძიებო და ოპერატიული სამმართველოს №609 წერილში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ნაცვლად სისხლის სამართლის №086150119006 საქმისა, მითითებულ იქნა სისხლის სამართლის №073150119006 საქმე)* სამმართველოდან გამოეთხოვათ 2019 წლის 15 იანვრის 13:00 საათიდან 16:00 საათამდე დროის პერიოდში, №8 დაწესებულების მე-2 სარეჟიმო კორპუსის სამარტოო №4 საკანში და მის მიმდებარე დერეფანში ბრალდებულის ყოფნის, თანამშრომლებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის და გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერები *(ვიდეოჩანაწერ 4-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი);*
- ✓ სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს (შემდგომში - საგამოძიებო სამმართველო) გამომძიებლის მიერ შედგენილი 2019 წლის 07 მარტის ოქმი - „ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ“ (შემდგომში - 2019 წლის 07 მარტის ოქმი), რომლის თანახმად, სისხლის სამართლის №086150119006 საქმეზე განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება. კერძოდ, სამმართველოდან, 2019 წლის 19 თებერვლის №1220/19ს განჩინების საფუძველზე, გამოთხოვილ იქნა, 2019 წლის 15 იანვრის 13:00 საათიდან 16:00 საათამდე პერიოდში, №8 დაწესებულების მე-2 სარეჟიმო კორპუსის №4 სამარტოო საკანში და მის მიმდებარედ დერეფანში ბრალდებულის ყოფნის, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის და გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერები *(ვიდეოჩანაწერ 4-ის დაარქივებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი).*

შემოწმების ფარგლებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ასევე გადამოწმდა სამინისტროს სოციალური ქსელის გვერდი და ოფიციალური ვებ-გვერდი. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 21 იანვარს, პარლამენტის კომიტეტზე ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების შემდეგ, პარლამენტის კომიტეტის სხდომის ამსახველი სრული ვიდეომასალა, რომელიც, მათ შორის, შეიცავდა ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების ფაქტებს, საქართველოს პარლამენტის სოციალური ქსელის გვერდიდან

გაზიარებული იქნა სამინისტროს სოციალური ქსელის გვერდზე. ამასთან, სამინისტროს სოციალური ქსელის გვერდზე ასევე აიტვირთა ვიდეოჩანაწერთა კრებული, რომელიც აერთიანებდა პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერების ფრაგმენტებს (ჩანაწერი 1, 3 და 4), ისევე როგორც, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სოციალური ქსელის გვერდიდან სამინისტროს სოციალური ქსელის გვერდზე გაზიარებულ იქნა ჩანაწერი 1.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის 2020 წლის 21 თებერვლის №SIS 8 20 00002933 წერილით გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია სამინისტროდან.

სამინისტრომ 2020 წლის 10 მარტის №SIS 5 20 00004046 საპასუხო წერილით განმარტა, რომ:

- ✓ 2020 წლის 21 იანვარს გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერები სამინისტროს გადაეცა ორ ეტაპად. კერძოდ, 2019 წლის ნოემბრის თვეში, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, სამუშაო რეჟიმში, წარდგენილ იქნა სპეციალური ანგარიში, რის შემდეგაც დღის წესრიგში დადგა ამ ანგარიშში მითითებული დასკვნების განხილვის აუცილებლობა. ვინაიდან სპეციალური ანგარიში მოიცავდა საკმაოდ მნიშვნელოვან კრიტიკულ შეფასებებსა და დასკვნებს, რაც, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამინისტროს წინაშე ანგარიშვალდებულებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სპეციალურ ანგარიშში მოყვანილი რეკომენდაციები მიემართებოდა არა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, არამედ სამინისტროსა და მინისტრს, სამინისტროს მხრიდან იმსახურებდა ყურადღებას. შესაბამისად, განხილვის პროცესი წარიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და სამინისტროს თანამშრომლების მიერ ერთობლივად, რა დროსაც წამოიჭრა საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამდებობის პირთა მხრიდან გასაცნობად წარმოდგენილ იქნა ვიდეოჩანაწერები. ვიდეოჩანაწერებით დასტურდებოდა ისეთი გარემოებები, რაც ააშკარავებდა სპეციალური ანგარიშის არასრულფასოვნებას. კერძოდ, მსჯელობა ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით განვითარდა ორი ძირითადი მიმართულებით: 1. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა მხრიდან, რომელთა მუშევრებითაც საქართველოს სახალხო დამცველი ახორციელებს დაწესებულებების მონიტორინგს, ადგილი ჰქონდა ფუნქციების არაჯეროვნად და არაპროფესიონალურად შესრულებას, რაც ეჭვქვეშ აყენებდა სპეციალურ ანგარიშში გაკეთებული შეფასებებისა და დასკვნების კვალიფიციურობას და მათ მიმართ სანდოობას; 2. სპეციალური ანგარიში იყო აშკარად ტენდენციური, ვინაიდან, მასში მხოლოდ ცალკეული სახის პრობლემები იყო წამოჭრილი, რაც შორს იდგა პრობლემატიკის სრულფასოვნად შესწავლისა და გამოკვლევისგან. ანუ, ადგილი ჰქონდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემაში არსებული მდგომარეობის დამახინჯებულად (ტენდენციურად, არაობიექტურად) წარმოჩენის მცდელობას. მიუხედავად აღნიშნულისა, იქამდე სანამ საკითხის განხილვა მიმდინარეობდა საქმიან ფორმატში, ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების მიზეზი და აუცილებლობა დღის წესრიგში არ დამდგარა. თუმცა, მას შემდეგ რაც საქართველოს სახალხო დამცველმა არ მიიღო არანაირი ზომა სპეციალური ანგარიშის დასახვეწად და გადაწყვიტა როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის,

ასევე მისი თანამშრომლების დისკრედიტაციის მიზნით გამოეყენებინა საპარლამენტო, ანუ ყველაზე მაღალი ტრიბუნა, ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში კვლავ დადგა დღის წესრიგში ამ ანგარიშთან დაკავშირებული არგუმენტების ხელახლა განხილვის აუცილებლობა. შესაბამისად, 2020 წლის 21 იანვრის პარლამენტის კომიტეტის სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე, ზემოაღნიშნული რამდენიმე ვიდეოჩანაწერის გარდა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან დამატებით კიდევ ერთი ვიდეოჩანაწერი იქნა გაცნობილი სამინისტროსთვის, სადაც ნაჩვენებია იყო ინციდენტი მსჯავრდებულსა და დაწესებულების სამედიცინო პერსონალს შორის, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი (ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა მსჯავრდებულის მიერ თვითდაზიანების მიყენების ფაქტის თაობაზე შედგენილ ოქმზე ხელი მოაწერა, ხოლო მსჯავრდებულის მიერ დაწესებულების თანამშრომლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით შედგენილი ოქმის ხელმოწერაზე, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ესწრებოდა აღნიშნულს, უარი განაცხადა). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროსთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემის სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები. კერძოდ:

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი (*მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით*) - მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება მისი მმართველობის სფეროში მოქმედი უწყებების, მათ შორის სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქმიანობის კონტროლი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს იმ მასალების შემოწმებისა და შეფასების უფლებამოსილებას, რომელიც იძლევა ინფორმაციას საკუთრივ უწყების საქმიანობის, ასევე ამ საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროსთვის გადაცემული ყველა ვიდეოჩანაწერი ემსახურებოდა სწორედ იმ მიზანს, რომ სამინისტროს ჰქონოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობის შესახებ მომზადებული სპეციალური ანგარიშისა და მის საწინააღმდეგოდ თავად სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან მოყვანილი საპირისპირო არგუმენტების სისწორისა და დამაჯერებლობის შეფასების შესაძლებლობა;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი (*მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად*) - ზემოთ აღნიშნული იმავე მიზეზების გამო, სპეციალური პენიტენციური სამსახური, როგორც სამინისტროს წინაშე ანგარიშვალდებული საქვეუწყებო დაწესებულება, ვალდებული იყო სამინისტროსთვის წარედგინა სპეციალურ ანგარიშთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია, მათ შორის, ის ინფორმაცია, რომელიც, მისი აზრით აშკარად წარმოაჩენდა ანგარიშის ტენდენციურობას. მითუმეტეს, რომ სპეციალური ანგარიში, აფასებდა რა სპეციალური პენიტენციური

სამსახურის საქმიანობას, რეკომენდაციას გასცემდა არა სპეციალური პენიტენციური სამსახურის, არამედ მინისტრისა და სამინისტროს მიმართ. შესაბამისად, მხოლოდ ინფორმაციის ყოველმხრივი შეგროვებისა და ანალიზის გზით იყო შესაძლებელი საკითხის ირგვლივ სრულყოფილი სურათის შექმნა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობის შეფასება;

➤ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი (*მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი*) - ამ შემთხვევაშიც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს სრული უფლება ჰქონდა გამოეყენებინა საჭირო მტკიცებულებები, თუკი აღნიშნულ ჩანაწერებს მიიჩნევდა საკუთარი საქმიანობის ნეგატიურად შემფასებელი სპეციალური ანგარიშის ნაკლოვანებების წარმომჩენად. ამრიგად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს სრული უფლება ჰქონდა სამინისტროსთვის გაეცნო ვიდეოჩანაწერები, რადგან ეს აუცილებელი იყო საქართველოს პარლამენტში დაგეგმილი მოსმენისთვის მოსამზადებლად (რომლის ინიციატორიც გახლდათ თავად საქართველოს სახალხო დამცველი) და იმის საჩვენებლად, რომ სპეციალური ანგარიში მომზადდა ტენდენციურად და მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით. ამის შედეგად, არსებითად შემცირდებოდა ანგარიშის მიმართ სანდოობის ხარისხი, მას ნაკლებად ექნებოდა საზოგადოებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების უნარი და საზოგადოების მცდარ ფაქტებში დარწმუნების ძალა. სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობის დაუმსახურებლად და უსაფუძვლოდ გაკრიტიკების საწინააღმდეგოდ ვიდეოჩანაწერებში გადმოცემული ინფორმაციის გამოყენება სავსებით ლეგიტიმური ინტერესია;

➤ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის „ზ“ ქვეპუნქტი (*მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად*) - სპეციალური პენიტენციური სამსახური ზოგადად და უკლებლივ მისი ყველა თანამშრომელი არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია დაიცვას სპეციალური პენიტენციურის სამსახურის რეპუტაცია უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან, რომელსაც შეუძლია დააზიანოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის რეპუტაცია და ასევე, უარყოფითად აისახოს მის მიერ ფუნქციების ეფექტიანად შესრულებაზე. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არ უბრალო კრიტიკულ სპეციალურ ანგარიშს (კრიტიკასა და ხარვეზების გამოვლენას მიესალმება სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი უკლებლივ ყველა უწყება), არამედ უსაფუძვლო, დაუსაბუთებელ და დიფამაციურ ბრალდებებს, მათი უპასუხოდ დატოვება იქნებოდა უპასუხისმგებლობა და გარდაუვლად გამოიწვევდა როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მოტივაციის კლებას, ასევე უწყების მიმართ არსებული ნდობის შემცირებას. საჯარო ინტერესია უწყების სანდოობაზე და თანამშრომელთა მოტივაციაზე ზრუნვა. სწორედ ამ საჯარო ინტერესს ემსახურებოდა სპეციალური პენიტენციური

სამსახურის მხრიდან სამინისტროსთვის ვიდეოჩანაწერების გაცნობა, როგორც ჭეშმარიტების დადგენის აუცილებელი ხერხი.

- ✓ რაც შეეხება პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე და სამინისტროს სოციალური ქსელის გვერდზე სამინისტროს მიერ ვიდეოჩანაწერების საჯაროდ გავრცელების მიზანსა და სამართლებრივ საფუძველს, აღნიშნული მეტწილად ემთხვევა ვიდეოჩანაწერების სამინისტროსთვის გადაცემის ფაქტთან დაკავშირებით მოყვანილ არგუმენტებსა და სამართლებრივ წინაპირობებს. ამასთან, დამატებით უნდა აღნიშნოს, რომ 2020 წლის 21 იანვარს შექმნილი ვითარება კიდევ უფრო ცხადს ხდის იმ საფუძველების არსებობას, რომელთა გამოც ვიდეოჩანაწერების სამინისტროსთვის გადაცემა წარმოადგენდა მართლზომიერ აქტს. ვიდეოჩანაწერების გასაჯაროება მით უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა იქიდან გამომდინარე, რომ სპეციალურ ანგარიშში გადმოცემული უსაფუძვლო ბრალდებების გავრცელების მასშტაბები რადიკალურად გაიზარდა მისი საქართველოს პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან „პრომოუტირების“ გამო და მიიქცია საზოგადოების დიდი ნაწილის ყურადღება და ინტერესი. შესაბამისად, ამ გზით რეალური გახდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობის უსაფუძვლო ბრალდებებით დაკნინების საფრთხე, რის გამოც, სპეციალური პენიტენციური სამსახური, ისევე როგორც სამინისტრო, სრულიად ლეგიტიმურად იყვნენ დაინტერესებულნი ყველა ზომა მიეღოთ საზოგადოების სრულად და სწორად ინფორმირებისთვის. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი საზოგადოებისთვის იმის დამაჯერებლად ჩვენება, თუ რამდენად შეიძლება ჰქონოდა სპეციალურ ანგარიშს პრეტენზია ობიექტურობაზე. არ იქნებოდა სწორი, რომ საქართველოს სახალხო დამცველს მისცემოდა უფლება და შესაძლებლობა უაპელაციოდ გაეგვრცელებინა მცდარი ინფორმაცია სპეციალურ პენიტენციურ სამსახურზე, სადაც განთავსებული თითოეული მსჯავრდებულის/ბრალდებულის ახლობელის უფლებაა ფლობდეს ინფორმაციას პენიტენციურ სისტემაში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული საქართველოს სახალხო დამცველის პოზიცია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და სამინისტროს, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ ბრალდებების საპასუხოდ არ ჰქონდათ საზოგადოებისთვის მკაფიო არგუმენტების ჩვენების უფლება.

2020 წლის 19 მარტს, სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და სამინისტროს მიერ 2020 წლის 21 იანვარს პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძველების გარეშე, გადაცემისა და გასაჯაროების გზით, დამუშავებისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები №000017 და №000019.

#### *სამოტივაციო ნაწილი*

*სახელმწიფო ინსპექტორმა იმსჯელა სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და სამინისტროს მიერ 2020 წლის 21 იანვარს გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერების დამუშავების კანონიერებაზე.*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-2 მუხლის „ა“, „დ“, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტების თანახმად, პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. მონაცემთა დამუშავება განმარტებულია, როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, აგრეთვე გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. ამასთან, მონაცემთა სუბიექტს წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემებიც მუშავდება, ხოლო მონაცემთა დამმუშავებელია საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

*1. სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და სამინისტროს მიერ ვიდეოჩაწერების გასაჯაროება*

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამინისტრომ, 2020 წლის 21 იანვარს, პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე გაასაჯაროვა ოთხი ვიდეოჩაწერა, რომლის შემდგომ:

- ✓ პარლამენტის კომიტეტის სხდომის ამსახველი სრული ვიდეოჩაწერა, რომელიც, მათ შორის, შეიცავდა ვიდეოჩაწერების გასაჯაროების ფაქტებს, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის სოციალური ქსელის გვერდიდან გააზიარეს საკუთარი სოციალური ქსელის გვერდებზე;
- ✓ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა საკუთარ სოციალური ქსელის გვერდზე და ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო სამინისტრომ საკუთარ სოციალური ქსელის გვერდზე ატვირთეს ვიდეოჩაწერა კრებული, რომელიც აერთიანებდა 2020 წლის 21 იანვარს გასაჯაროებული ვიდეოჩაწერების ფრაგმენტებს (ვიდეოჩაწერა - 1, 3 და 4);
- ✓ სამინისტრომ და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა საკუთარ სოციალური ქსელის გვერდებზე გაასაჯაროეს ვიდეოჩაწერა 1;
- ✓ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ვიდეოჩაწერები - 1, 2, 3 და 4 გადასცა სამაუწყებლო კომპანიებს და საინფორმაციო სააგენტოებს - „ინტერპრესნიუსსა“ და „Report.ge“-ს.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, ვიდეოჩაწერების - 1, 2, 3 და 4-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე გასაჯაროებისა და სამაუწყებლო კომპანიებისთვის/საინფორმაციო სააგენტოებისთვის გადაცემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა კანონის მე-5 მუხლის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები. კერძოდ, მათი განმარტებით, 2012 წლის შემდეგ პენიტენციური სისტემა მუდმივად იმყოფება საზოგადოების დაკვირვების ქვეშ, რაც განპირობებულია იმ მძიმე მემკვიდრეობით, რომელიც 2012 წლის შემდეგ დახვდა ჯერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, შემდეგ კი მის უფლებამონაცვლეს, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს. 2003-2012 წლამდე პერიოდში პენიტენციურ სისტემაში არსებული ძალადობრივი პოლიტიკა, რომელსაც არაფრად მიაჩნდა ადამიანის ძირითადი უფლებები, მუდმივად ბადებს კითხვებს საზოგადოებაში და აღნიშნულის



გამო, საკმაოდ ხშირად, სრულიად უსაფუძვლო და დაუმსახურებელი კრიტიკის ობიექტები ხდებიან პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული პერსონალი, რომლებიც საკუთარი სიცოცხლისა და პირადი ღირსების შელახვის ფასად ახერხებენ მსჯავრდებულებზე ზრუნვას და დაწესებულებებში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ პირობებში, სპეციალური ანგარიში, რომელიც რეალობაზე მეტად ასახავდა არსებულ ნაკლოვანებებს ან/და ცდილობდა არარსებული რეალობის წარმოჩენას, საჭიროებდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან შესაბამისი ქმედებების განხორციელებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სწორედ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების კანონიერი ინტერესების დასაცავად და საზოგადოების მხრიდან არსებული მაღალი საჯარო ინტერესის დასაკმაყოფილებლად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, საზოგადოებისთვის მომხდარიყო რეალური სურათის ჩვენება თუ, როგორ ახორციელებს მონიტორინგს საქართველოს სახალხო დამცველის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც საკმაოდ ხშირად მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინტერესებს იცავენ და იცავენ სწორედ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ინტერესების ხარჯზე. აღნიშნული ვიდეოჩანაწერების ჩვენებით პასუხი გაეცა ბევრ შეკითხვას, მათ შორის, სპეციალური ანგარიშის ობიექტურობასთან მიმართებით.

სამინისტროს განმარტებით, ვიდეოჩანაწერების პარლამენტის კომიტეტზე და სოციალური ქსელის გვერდზე გასაჯაროების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები მეტწილად ემთხვევა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროსთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემის მიზნებსა და სამართლებრივ საფუძვლებს. კერძოდ, სამინისტროს მიერ ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულ იქნა კანონის მე-5 მუხლის „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები, ხოლო არგუმენტად დასახელდა შემდეგი გარემოებები:

- ✓ მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა არა უბრალოდ კრიტიკულ, არამედ უსაფუძვლო, დაუსაბუთებელ და დიფამაციურ სპეციალურ ანგარიშს. ასეთი ბრალდებების უპასუხოდ დატოვება იქნებოდა უპასუხისმგებლობა და გარდაუვლად გამოიწვევდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის რეპუტაციის დაზიანებას, მის მიმართ ნდობის შემცირებას და თანამშრომლების მოტივაციის კლებას, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად შესრულებაზე. შესაბამისად, ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებისთვის იმის ჩვენება, რომ სპეციალური ანგარიში მომზადდა ტენდენციურად და მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით. ამასთან, ამ გზით არსებითად შემცირდებოდა სპეციალური ანგარიშის მიმართ სანდოობის ხარისხი, მას ნაკლებად ექნებოდა საზოგადოებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების უნარი და საზოგადოების მცდარ ფაქტებში დარწმუნების ძალა. სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობა რომ დაუმსახურებლად და უსაფუძვლოდ არ იქნეს გაკრიტიკებული, ეს სავესებით ლეგიტიმური ინტერესია, რომლის დაკმაყოფილების გზას, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენდა ვიდეოჩანაწერებში გადმოცემული ინფორმაცია;
- ✓ ვიდეოჩანაწერების გასაჯაროება მით უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სახალხო დამცველმა გადაწყვიტა როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ასევე მისი თანამშრომლების დისკრედიტაციის მიზნით, გამოეყენებინა საპარლამენტო, ანუ ყველაზე მაღალი ტრიბუნა, რის შედეგადაც არსებითად

გაიზარდა უსაფუძვლო ბრალდებების გავრცელების მასშტაბი, მიიქცია საზოგადოების დიდი ნაწილი ყურადღება და კიდევ უფრო რეალური გახდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობის დაუსაბუთებელი ბრალდებებით დაკნინების საფრთხე. შესაბამისად, როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახური, ასევე, სამინისტრო, სრულიად ლეგიტიმურად იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ყველა ზომა მიეღოთ საზოგადოების სრულად და სწორად ინფორმირებისთვის. არ იქნებოდა სწორი, რომ საქართველოს სახალხო დამცველს მისცემოდა უფლება და შესაძლებლობა უაპელაციოდ გავრცელებინა მცდარი ინფორმაცია სპეციალურ პენიტენციურ სამსახურზე, სადაც განთავსებული თითოეული მსჯავრდებულის/ბრალდებულის ახლობელის უფლებაა ფლობდეს ინფორმაციას - პენიტენციურ სისტემაში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული საქართველოს სახალხო დამცველის პოზიცია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და სამინისტროს, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ ბრალდებების საპასუხოდ არ ჰქონდათ საზოგადოებისთვის მკაფიო არგუმენტების ჩვენების შესაძლებლობა.

საგულისხმოა, რომ „საქართველოს სახალხო დამცველი შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2, მე-3<sup>1</sup>, მე-19<sup>1</sup> და 21-ე მუხლების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც მათ შორის, ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. ამ ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილია სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს, დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით. საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია შემოწმების შედეგების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები შეიტანოს ყოველწლიურ და სპეციალურ ანგარიშებში.

პატიმრობის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენენ სპეციალური პენიტენციური სამსახური და მისდამი დაქვემდებარებული პენიტენციური დაწესებულებები. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ამოცანებს, მათ შორის, მიეკუთვნება პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დაცვა, ხოლო სამსახურის საქმიანობა, მათ შორის, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა და პატივისცემა, გამჭვირვალობა. მითითებული პრინციპების შესაბამისად, სპეციალური პენიტენციური სამსახური ვალდებულია საკუთარი საქმიანობა განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, დადგენილი წესით და კანონით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად. ამასთან, სპეციალური

პენიტენციური სამსახური ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, იმისათვის, რომ მისი მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ ხელყოფდეს ადამიანის სიცოცხლეს, არ ლახავდეს მის პატივსა და ღირსებას, არ იყოს დისკრიმინაციული, არ არღვევდეს ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ეკისრება ვალდებულება, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად სწრაფად უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ საზოგადოებისათვის სათანადო და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-40 მუხლი არეგულირებს კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირთა სავალდებულო დასწრების საკითხს, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი (მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი ან თანამდებობის პირი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის ან სხვა საკანონმდებლო აქტის თანახმად პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს ან რომლის სხვა სახის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე უშუალოდ ითვალისწინებს საკანონმდებლო აქტი), პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია რეგლამენტით დადგენილი წესით დაესწროს კომიტეტის სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომიტეტმა. კომიტეტის სხდომაზე მოწვევის შესახებ კომიტეტის მოთხოვნას აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ პირს უგზავნის კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს კომიტეტის სხდომაზე მოსაწვევ პირთან ერთად განსახილველი საკითხის/საკითხების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. კომიტეტის სხდომაზე მოწვეულ პირს უფლება აქვს, არ ისაუბროს იმ საკითხების გარშემო, რომლებიც ამ მუხლით დადგენილი წესით მისთვის წინასწარ არ ყოფილა ცნობილი. ამასთან, ამავე რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, კომიტეტის სხდომა საჯაროა. საჯარო სხდომა გადაიცემა პირდაპირი ტრანსლაციით.

ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ პენიტენციური სისტემის კანონის მოთხოვნების დაცვით ფუნქციონირება წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. აღნიშნულის დაცვის მიზნით კი აუცილებელია, უზრუნველყოფილი იქნეს სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და საზოგადოებისათვის პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. საგულისხმოა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-40 მუხლის თანახმად, პარლამენტის კომიტეტის საჯარო სხდომაზე, რომელიც გადაიცემოდა პირდაპირი ტრანსლაციით, განიხილებოდა ყველაზე დიდი ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთისა და დახურული ტიპის პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მონიტორინგის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მომზადებული, სპეციალური ანგარიში, რომელშიც ხაზგასმული იყო როგორც

სისტემური ხასიათის, ასევე, თითოეული დაწესებულებისთვის დამახასიათებელ ხარვეზებსა/გამოწვევებზე. შესაბამისად, ცხადია, რომ *სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, როგორც პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებას, სამინისტროს, როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის ზედამხედველ უწყებასა და მინისტრს, როგორც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-40 მუხლის თანახმად საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ პირს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის რეპუტაციის, ისევე როგორც მასში დასაქმებული პირების ინტერესების დაცვისა და სპეციალურ ანგარიშში მითითებული გარემოებების უსაფუძვლოების დადასტურების მიზნით, გააჩნდათ საზოგადოებისთვის საპასუხო არგუმენტებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის უფლება.* თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ასევე, სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების პარლამენტის კომიტეტზე, სოციალური ქსელის გვერდზე და ოფიციალურ ვებ-გვერდზე გასაჯაროების, ასევე, სამაუწყებლო კომპანიებისა და საინფორმაციო სააგენტოებისათვის, გადაცემის (რაც მიზნად ისახავდა ვიდეოჩანაწერების ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომად ქცევას) გზით, დამუშავების სამართლებრივ საფუძველად მითითებული კანონის მე-5 მუხლის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები მონაცემთა დამუშავების საფუძველს წარმოშობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აუცილებელია ერთი მხრივ, საჯარო ინტერესის, ხოლო მეორე მხრივ, მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის აღმატებული ინტერესების დასაცავად. განსახილველ შემთხვევაში, სპეციალური ანგარიში ეხებოდა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილ სისტემურ/არასისტემურ ხარვეზებს, შესაბამისად, საჯარო ინტერესი არსებობდა ზოგადად პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობის და სპეციალურ ანგარიშში მითითებული გარემოებების არსებობა/არ არსებობის მიმართ, რა დროსაც, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ყოფილი ვიდეოჩანაწერებში ასახული ინციდენტების საზოგადოებისათვის დემონსტრირება. *თუმცა, ვიდეოჩანაწერებიდან დასკვნის გასაკეთებლად ან ამა თუ იმ მოვლენაზე აზრის ჩამოსაყალიბებლად არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა კონკრეტულ ინციდენტსა თუ შემთხვევაში მონაწილე დაწესებულების თანამშრომელთა, ისევე როგორც, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა ვინაობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება რომ ვიდეოჩანაწერების სახის დაფარვის გარეშე, პერსონიფიცირებული ფორმით გასაჯაროება, არ იყო აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის (სპეციალური პენიტენციური სამსახურის კანონიერი ინტერესის დაცვისა და საჯარო ინტერესის დაკმაყოფილების) მისაღწევად.*

რაც შეეხება ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებასთან მიმართებით სამინისტროს მიერ დასახელებულ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს, საგულისხმოა, რომ აღნიშნული გარემოებები მონაცემთა დამუშავების საფუძველს წარმოშობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კანონი პირდაპირ ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავებას ან თუ დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული რომელიმე მოვალეობების შესასრულებლად. აღსანიშნავია, რომ შემოწმების ფარგლებში სამინისტროს მიერ ვერ იქნა არგუმენტირებულად მითითებული, თუ კონკრეტულად რომელი საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებდა მოცემულ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების გასაჯაროების უფლებამოსილებას, ხოლო ზემოთ მითითებული არგუმენტების გათვალისწინებით კი ცხადია, რომ *სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და სამინისტროს ლეგიტიმური ინტერესების*

*დასაცავად არ არსებობდა ვიდეოჩანაწერზე ასახულ პირთა პერსონიფიცირების საჭიროება, მათ შორის, არც მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით.*

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სამინისტრომ პარლამენტის კომიტეტსა და სოციალური ქსელის გვერდზე გასაჯაროების გზით, ხოლო სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე გასაჯაროების, ასევე, სამაუწყებლო კომპანიებისა და საინფორმაციო სააგენტოებისთვის გადაცემის გზით, ვიდეოჩანაწერებზე ასახულ პირთა პერსონალური მონაცემები დაამუშავეს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია - არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ვინაიდან, 2020 წლის 21 იანვარს გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერები განთავსების დღიდან დღემდე ხელმისაწვდომია როგორც, სამინისტროს სოციალური ქსელის გვერდზე, ასევე სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სამართალდარღვევა არის დენადი. რაც შეეხება პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებას, ამ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ 2020 წლის 21 იანვრიდან დღემდე არ არის გასული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ორი თვე.

ამასთან, ვინაიდან, სამინისტროს და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავება ამ დრომდე გრძელდება კანონის მოთხოვნათა დარღვევით, სამინისტრომ და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უნდა უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების წაშლა ან დეპერსონალიზაცია.

## ***2. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ვიდეოჩანაწერების დაარქივება/შენახვა***

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვიდეოჩანაწერების დაარქივება განხორციელდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ და ამ დრომდე ინახება საამისოდ დაცულ ბაზაში. კერძოდ:

- ✓ ვიდეოჩანაწერი 1-ის დაარქივება განხორციელდა 2019 წლის 19 აპრილს, გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით, მინისტრის №35 ბრძანების მე-2, მე-10 და მე-15 მუხლების საფუძველზე, რადგან არსებობდა ვარაუდი, რომ №6 დაწესებულების 34-ე საკანში განთავსებულ მაღალი რისკის მსჯავრდებულს,

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის მეშვეობით, სხვა პირებისთვის გადაცემის მიზნით, შესაძლოა მოეხდინა №6 დაწესებულებიდან ინფორმაციის წერილობით გატანა, რაც აკრძალულია პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილითა და №6 დაწესებულების დებულების 41-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით. აღნიშნული ვარაუდი ამ კონკრეტული შეხვედრის ფარგლებში არ გამოიკვეთა, თუმცა, ამ დრომდე არ მომხდარა ვიდეოჩანაწერის წაშლა და ის დღემდე ინახება სპეციალური პენიტენციური სამსახურის საამისოდ დაცულ ბაზაში, რადგან, სამომავლოდ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მსჯავრდებულის მიერ მითითებული ქმედების ჩადენის მცდელობას და გამოიკვეთოს ჩანაწერ 1-ზე ასახული გარემოებების დადარების აუცილებლობა;

- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, ვიდეოჩანაწერების 2-ის, 3-ის და 4-ის დაარქივება განხორციელდა მინისტრის №35-ე ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რადგან ყველა მათგანი ერთდროულად შეიცავდა, როგორც სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევის, ასევე სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს;
- ✓ ვიდეოჩანაწერი 2-ის დაარქივება განხორციელდა 2019 წლის 29 დეკემბერს დაწესებულების დირექტორის 386460/21 შეტყობინების საფუძველზე, რადგან ვიდეოჩანაწერი ასახავდა №3 დაწესებულების №221-ე საკანში განთავსებული მსჯავრდებულის მიერ თვითდაზიანების მიყენების ფაქტს. სამმართველოს უფროსის 2020 წლის 07 თებერვლის №36044/01 წერილით, დაარქივებული ვიდეოჩანაწერი შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა დასავლეთის სამმართველოს (სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, ვიდეოჩანაწერ 2-ზე ასახულ შემთხვევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასაგამოძიებო მოქმედებების ჩატარება);
- ✓ ვიდეოჩანაწერი 3-ის დაარქივება განხორციელდა 2019 წლის 23 ივნისს, დასავლეთის სამმართველოს №9396 წერილის საფუძველზე, დასავლეთის სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის №073171218002 საქმესთან დაკავშირებით, რადგან ვიდეოჩანაწერი ასახავდა 2019 წლის 21 ივნისს, 16:30 საათიდან 18:00 საათამდე დროის პერიოდში, №3 დაწესებულების სამედიცინო ნაწილის პირველადი ჯანდაცვის ოთახში და მის მიმდებარე დერეფნებში, მსჯავრდებულის მიერ იმავე დაწესებულების მთავარი ექიმის მიმართ განხორციელებული სხვაგვარი ძალადობის და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს (სისხლის სამართლის №073171218002 საქმეზე გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს);
- ✓ ვიდეოჩანაწერი 4-ის დაარქივება განხორციელდა 2019 წლის 18 იანვარს, საგამოძიებო და ოპერატიული სამმართველოს №609 წერილის საფუძველზე, სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის №086150119006 საქმესთან დაკავშირებით, რადგან ვიდეოჩანაწერი ასახავდა, 2019 წლის 15 იანვრის 13:00 საათიდან 16:00 საათამდე დროის პერიოდში, №8 დაწესებულების №4 საკანში და მის მიმდებარე დერეფანში ბრალდებულის მიერ დაწესებულების თანამშრომლებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს (სისხლის სამართლის №086150119006 საქმეზე გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს).

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ მონაცემთა დამუშავება

გათვალისწინებულია კანონით ან/და მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების წესები რეგულირდება პატიმრობის კოდექსით (შემდგომში - კოდექსი) და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. კოდექსის მე-12<sup>1</sup> მუხლის თანახმად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც მიღებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები და უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათზე მუდმივად ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.

კოდექსის 54-ე მუხლი განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის წესსა და პირობებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-, ვიდეოსაშუალებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებით. სპეციალური პენიტენციური სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს. სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი უფლებამოსილია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილითა და მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა პირებთან (კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირები არიან: საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პარლამენტის წევრები; საქართველოს პრემიერ-მინისტრი; პროკურატურის სისტემის საამისოდ უფლებამოსილი პირები; საქართველოს სახალხო დამცველი; მინისტრი და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები; სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები) შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე. ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესს განსაზღვრავს მინისტრი.

კოდექსის 54-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე დამტკიცებული მინისტრის №35 ბრძანების პირველი მუხლის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი არის ღიად ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც არ შეიძლება გულისხმობდეს ფარულ თვალთვალს ან მიყურადებას და რომლის მიზანია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, აგრეთვე სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან აცილება, დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. ამავე ბრძანების მე-15 მუხლის თანახმად, ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისას, ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში, რა დროსაც ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების შევსებისას ხორციელდება ახალი ინფორმაციის ჩაწერა ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის განადგურების შედეგად. გადაღებული მასალა ინახება არანაკლებ 30 დღის განმავლობაში. გადაღებული მასალის დაარქივება ხორციელდება ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში/გარემოებებში შესაბამისი საქმის წარმოების/სამართალწარმოების ჩატარების მიზნით, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიც, დეპარტამენტის დირექტორის ან დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილის დასაბუთებული გადაწყვეტილებით. დაარქივებული მასალა ინახება სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საამისოდ დაცულ ბაზაში, რის თაობაზეც დგება გადაღებული მასალის დაარქივების ოქმი. გადაღებული მასალის დაარქივების ოქმს ადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილე ან განყოფილების უფროსი. გადაღებული მასალის დაარქივების ოქმს აგრეთვე დაერთვება გადაწყვეტილება, რომლითაც განხორციელდა გადაღებული მასალის დაარქივება. დაარქივებული მასალა ინახება იმ საქმის წარმოების/სამართალწარმოების დასრულებიდან ან სხვა შესაბამისი გარემოების აღმოფხვრიდან არაუმეტეს 1 თვის ვადით, რომლის გამოც განხორციელდა აღნიშნული მასალის დაარქივება.

დამატებით, საგულისხმოა, რომ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ორგანიზების, საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. ამ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სამსახურის ამოცანებს, მათ შორის, განეკუთვნება, პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის დაცვა; პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვა; პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის დასაცავად კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება და ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება; პენიტენციურ დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაშაულის ან/და სხვა სამართალდარღვევის გამოვლენა, აღკვეთა, პრევენცია და უსაფრთხოების დაცვა; პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმდინარე და გაძლიერებული ღონისძიებების გეგმების შემუშავება და განხორციელება. ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის გენერალური დირექტორი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის №366 ბრძანებით (შემდგომში - მინისტრის №366 ბრძანება) დამტკიცებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების პირველი, მე-5-მე-7 მუხლის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახური არის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება,



რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მმართველობის სფეროსა და ამოცანებს განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანიზება, პენიტენციური დაწესებულებების ერთიანი მართვა და მათი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ასევე კომპეტენციის ფარგლებში, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. სპეციალური პენიტენციური სამსახური უფლებამოსილებებია: პენიტენციური დაწესებულებების ერთიანი მართვა და მათი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პენიტენციური დაწესებულებების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის დაცვა; პენიტენციურ დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაშაულის ან/და სხვა სამართალდარღვევის გამოვლენა, აღკვეთა და პრევენცია. სამსახურის საქმიანობას წარმართვას და მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს წყვეტს გენერალური დირექტორი. იგი უფლებამოსილია კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ მიმოწერის განხორციელების წესი განისაზღვრება პატიმრობის კოდექსისა და შესაბამისი დაწესებულების დებულების თანახმად. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს შორის მიმოწერა აკრძალულია. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე შემოსული წერილის მისთვის ჩაბარებას, აგრეთვე ბრალდებულის/მსჯავრდებულის წერილის ადრესატისთვის გაგზავნას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულება. ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია მოწმდება. შემოწმება მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა. შეზღუდვის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს. დამატებით, №6 დაწესებულების დებულების 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რა დროსაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია არ მიეწოდება/არ ეგზავნება ადრესატს და გადაეცემა უფლებამოსილ ორგანოს ან თანამდებობის პირს. აღნიშნული გარემოება წარმოიშევა იმ შემთხვევაში, თუ კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის შედეგად დადგინდება, რომ იგი: შეიცავს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას; შეიცავს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ახალი დანაშაულის ჩადენას; შესრულებულია შიფრით; შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოს ან სხვა საიდუმლოს გასაჯაროების საფრთხეს; შეიცავს ინფორმაციას, რომლის გავრცელებამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სამინისტროს სისტემის მოსამსახურის ან/და სხვა

პირის უსაფრთხოებას; შეიცავს ინფორმაციას აკრძალული ნივთების ბრალდებულისათვის/ მსჯავრდებულისათვის მიწოდების საშუალებების თაობაზე.

ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებებში უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ კორესპონდენციის გაგზავნის უფლების იმგვარად რეალიზება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. შესაბამისად, უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებებიდან კორესპონდენციის გაგზავნა ხდებოდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურით, რადგან ასეთ დროს გათვალისწინებულია კონკრეტული მექანიზმები არსებული რისკების შემცირებისა და თავიდან არიდების მიზნით. რაც შეეხება დაწესებულებებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, კერძოდ, პენიტენციურ სისტემაში არსებული საფრთხეების გამოვლენას, შეფასებას და ამ საფრთხეების პრევენციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას/გატარებას, მითითებული სამართლებრივი აქტების თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების კომპეტენციას. სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი კი წარმართავს სამსახურის საქმიანობას და ზედამხედველობს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეთა საქმიანობას. ამასთან, მინისტრის №35 ბრძანების მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სწორედ მას გააჩნია გადაღებული მასალის დაარქივების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება ისეთ შემთხვევებთან მიმართებით, რომელიც არ ექცევა ამავე ბრძანების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ჩამონათვალში.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი გარემოებაა, რომ ვიდეოჩანაწერი 1-ის დაარქივება განხორციელდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, არსებობდა ისეთი გარემოებების წარმოშობის ვარაუდი, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულებას. ამასთან, ამავე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრა დაარქივებული მასალის შენახვის ვადა (შესაბამისი გარემოებების აღმოფხვრამდე), რომელიც სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, ამ დღემდე არ დამდგარა, რადგან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იმავე მსჯავრდებულის მიერ მითითებული ქმედების ჩადენის მცდელობას და გამოიკვეთოს ვიდეოჩანაწერზე ასახული გარემოებების დადარების საჭიროება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „პატიმრობის კოდექსით“, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, მინისტრის №35, №366 და №108 ბრძანებებით განსაზღვრული რეგულაციების ერთობლიობა წარმოშობს მონაცემთა დამუშავების კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძვლებს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში

უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე დაწესებულებებში მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/გატარება წარმოადგენს მხოლოდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის კომპეტენციას, მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ შესაძლებლობას შეაფასოს ვიდეოჩანაწერის შემდგომი შენახვის აუცილებლობა.

რაც შეეხება ვიდეოჩანაწერებს - 2-ს, 3-ს და 4-ს, შემოწმების შედეგად დგინდება, რომ მათი დაარქივება განხორციელდა, რადგან ყველა მათგანი შეიცავდა როგორც სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევის, ასევე სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს. კერძოდ, ვიდეოჩანაწერ 2-ზე ასახული იყო №3 დაწესებულების მსჯავრდებულის მიერ თვითდაზიანების მიყენების ფაქტი, ვიდეოჩანაწერ 3-ზე - №3 დაწესებულების მსჯავრდებულის მიერ იმავე დაწესებულების მთავარი ექიმის მიმართ განხორციელებული სხვაგვარი ძალადობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები, ხოლო ვიდეოჩანაწერ 4-ზე - №8 დაწესებულების ბრალდებულის მიერ დაწესებულების თანამშრომლებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის და მინისტრის №35 ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არსებობდა მითითებულ ვიდეოჩანაწერთა დაარქივების სამართლებრივი საფუძველი. რაც შეეხება, აღნიშნულ ვიდეოჩანაწერთა ამ დრომდე შენახვის ფაქტს, საგულისხმოა, რომ №35 ბრძანების მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, დაარქივებული მასალა ინახება იმ საქმის წარმოების/სამართალწარმოების დასრულებიდან ან სხვა შესაბამისი გარემოების აღმოფხვრიდან არაუმეტეს 01 თვის ვადით, რომლის გამოც განხორციელდა აღნიშნული მასალის დაარქივება. შემოწმების ფარგლებში დადგენილი გარემოებაა, რომ ვიდეოჩანაწერი 3-ის და ვიდეოჩანაწერი 4-ის დაარქივება განხორციელდა სისხლის სამართლის №073171218002 და №086150119006 საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, ამ დრომდე მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო ვიდეოჩანაწერ 2-თან დაკავშირებით სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, ამ ეტაპამდე მიმდინარეობს საკითხის შესწავლა და ამ დრომდე არ მომხდარა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება (სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყების თვალსაზრისით). შესაბამისად, ვინაიდან, იმ საქმეების წარმოება/სამართალწარმოება ჯერ არ დასრულებია, რომელთა გამოც განხორციელდა ვიდეოჩანაწერი 2-ის, 3-ის და 4-ის დაარქივება, მინისტრის №35 ბრძანების მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე კვლავ სახეზეა დაარქივებული ვიდეო მასალის შენახვის სამართლებრივი წინაპირობა. შესაბამისად, მითითებული ვიდეოჩანაწერების სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ შენახვის ფაქტთან მიმართებით კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტი არ იკვეთება.

### *3. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ვიდეოჩანაწერა, მონაცემთა სუბიექტთა ინფორმირება და ვიდეოჩანაწერების სამინისტროსთვის გადაცემა*

განხორციელებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 21 იანვარს გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერები გადაღებულია №3, №6 და №8 დაწესებულებებში. კერძოდ, ვიდეოჩანაწერი 1-ის ვიდეოჩანაწერა განხორციელდა 2019 წლის 19 აპრილს, №6 დაწესებულებაში; ვიდეოჩანაწერი 2-ის და ვიდეოჩანაწერი 3-ის ვიდეოჩანაწერა განხორციელდა 2019 წლის 26 დეკემბერს და 21 ივნისს, №3

დაწესებულებაში; ვიდეოჩანაწერი 4-ის ვიდეოჩანაწერა განხორციელდა 2019 წლის 18 იანვარს, №8 დაწესებულებაში.

სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და სამინისტროს განმარტებით:

- ✓ №3 და №6 დაწესებულებებში ვიდეოჩანაწერის გზით მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა პატიმრობის კოდექსის მე-12<sup>1</sup> მუხლი, ხოლო, №8 დაწესებულებაში (სადაც, ვიდეოჩანაწერას ადგილი ჰქონდა დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის დერეფანში) ვიდეოჩანაწერის გზით მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი იყო ამავე კოდექსის 54-ე მუხლი და №35 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი;
- ✓ ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობის შესახებ №3 და №6 დაწესებულებებში დასაქმებულთა ინფორმირება არ ხორციელდება წერილობითი ფორმით. დაწესებულებებში დასაქმებულთათვის ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობის შესახებ ცნობილია დაწესებულებების ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნებითა და დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული შესაბამისი რეგულაციებით. ამასთან, №8 დაწესებულებაში, სხვა დაწესებულებების მსგავსად, დასაქმებულ პირებს აქვთ სრული ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ. შესაბამისად, ვიდეოჩანაწერ 2-ზე, 3-ზე და 4-ზე ასახული დაწესებულების თანამშრომლები ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმირებულნი იყვნენ უშუალოდ ვიდეოჩანაწერის განხორციელებამდე, კერძოდ, 2019 წლის 18 იანვრამდე, 21 ივნისამდე და 26 დეკემბრამდე;
- ✓ №3 და №6 დაწესებულებებში მსჯავრდებულები ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობის თაობაზე ინფორმირებულნი არიან დაწესებულებების ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებული შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით. ამასთან, მათი ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობის თაობაზე ინფორმირება ასევე ხდება დაწესებულებაში მოთავსებისთანავე. განსახილველ შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერი 3-ის ვიდეოჩანაწერა განხორციელდა №3 დაწესებულების სამედიცინო პუნქტში (პირველადი ჯანდაცვის ოთახში), სადაც არ ხდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა წერილობითი ფორმით ინფორმირება. შესაბამისად, ვიდეოჩანაწერში ასახული მსჯავრდებული ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის თაობაზე ინფორმირებული იყო უშუალოდ ვიდეოჩანაწერის განხორციელებამდე, კერძოდ, 2019 წლის 21 ივნისამდე, რაც შეეხება ვიდეოჩანაწერს 1-ს და ვიდეოჩანაწერ 2-ს მათი ვიდეოჩანაწერა მოხდა №6 და №3 დაწესებულებების საკნებში. ამასთან, ვიდეოჩანაწერ 1-ზე ასახული მსჯავრდებული ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის თაობაზე ინფორმირებულ იქნა 2019 წლის 07 მარტის ოქმით, ხოლო ვიდეოჩანაწერი 2-ზე ასახული მსჯავრდებული - 2019 წლის 05 დეკემბრის ოქმით;
- ✓ №8 დაწესებულების ბრალდებულების/მსჯავრდებულების ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის თაობაზე ინფორმირება ხდება პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ვიდეოჩანაწერი 4 გადაღებულია №8 დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის დერეფანში, სადაც, მინისტრის №35 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მიმდინარეობს ელექტრონული საშუალებით მუდმივი მეთვალყურეობა და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია

შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა წერილობითი ფორმით გაფრთხილება არ ხდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვიდეოჩანაწერ 4-ზე ასახული პირი ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის თაობაზე ინფორმირებული იყო უშუალოდ ვიდეოჩანაწერის განხორციელებამდე, კერძოდ, 2019 წლის 18 იანვრამდე;

- ✓ რაც შეეხება საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს, მათთვის დაწესებულებებში ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის თაობაზე ცნობილია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნებული ნორმატიული ხასიათის ისეთი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, როგორსაც წარმოადგენს პატიმრობის კოდექსი და დაწესებულებების დებულებები. ამასთან, აღნიშნული პირები ასევე ინფორმირებულნი არიან დაწესებულებებში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაწესებულებების საკნებში ვიდეოსამეთვალყურეო კამერა დამონტაჟებულია ადვილად შესამჩნევ ადგილას. შესაბამისად, ვიდეოჩანაწერ 1-ზე და 2-ზე ასახული საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ინფორმირებული იყვნენ უშუალოდ ვიდეოჩანაწერის განხორციელებამდე, კერძოდ, 2019 წლის 19 აპრილამდე და 26 დეკემბრამდე;
- ✓ ვიდეოჩანაწერი 1, ვიდეოჩანაწერი 3 და ვიდეოჩანაწერი 4 სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროს გადაეცა - 2019 წლის 19 ნოემბერს, ხოლო, ვიდეოჩანაწერი 2 - 2020 წლის 17 იანვარს (*შენიშვნა: შემოწმების ფარგლებში, წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, სამინისტრომ დაადასტურა, რომ ვიდეოჩანაწერები გადაეცა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ. ამასთან, განმარტა, რომ ვიდეოჩანაწერების გადაცემა მოხდა ორ ეტაპად. პირველ შემთხვევაში ნოემბრის თვეში, ხოლო შემდგომ პარლამენტის კომიტეტის სხდომის გამართვამდე. ამასთან, საგულისხმოა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, ვიდეოჩანაწერების სამინისტროსთვის გადაცემასთან დაკავშირებით რაიმე სახის დოკუმენტი არ შემდგარა*);
- ✓ ვიდეოჩანაწერი 1-ის, 3-ის და 4-ის სამინისტროსთვის გადაცემა განხორციელდა მას შემდეგ, რაც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, სამუშაო რეჟიმში, გადაგზავნილ იქნა სპეციალური ანგარიში, რის შემდეგაც, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამინისტროს მიმართ ანგარიშვალდებულების გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა სპეციალურ ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების (რომელიც მიემართებოდა სამინისტროსა და მინისტრს) განხილვის აუცილებლობა. განხილვის ფარგლებში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროსთვის წარმოდგენილ იქნა ვიდეოჩანაწერები, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ სპეციალური ანგარიში იყო ტენდენციური და ადგილი ჰქონდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემაში არსებული მდგომარეობის დამახინჯებულად (არაობიექტურად) წარმოჩენის მცდელობას. რაც შეეხება, ვიდეოჩანაწერ 2-ს აღნიშნული სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროს წარედგინა მას შემდეგ, რაც საქართველოს სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ასევე მისი თანამშრომლების დისკრედიტაციის მიზნით,

გამოეყენებინა საპარლამენტო, ანუ ყველაზე მაღალი ტრიბუნა, რა დროსაც ბუნებრივია, დღის წესრიგში კვლავ დადგა ამ ანგარიშთან დაკავშირებული არგუმენტების ხელახლა განხილვის აუცილებლობა;

- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროსთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემა გამომდინარეობდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამინისტროს მიმართ ანგარიშვალდებულებიდან, რომლის ფარგლებშიც, ერთი მხრივ, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ეკისრებოდა ვალდებულება სამინისტროსთვის წარედგინა სპეციალურ ანგარიშთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია, მათ შორის, მტკიცებულებები, რომელიც, მისი აზრით აშკარად წარმოაჩენდა სპეციალური ანგარიშის ტენდენციურობას, ხოლო მეორე მხრივ, სამინისტროს ჰქონდა უფლება მისდამი დაქვემდებარებული უწყების საქმიანობის კონტროლის და შესაბამისად, სპეციალურ ანგარიშში მითითებული გარემოებების სისწორის დადგენის მიზნით, მოეპოვებინა და მიეღო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. ამასთან, ვიდეოჩანაწერების სამინისტროსთვის გადაცემა ასევე აუცილებელი იყო საქართველოს პარლამენტში დაგეგმილი მოსმენისთვის მოსამზადებლად, რადგან ამ გზით მომხდარიყო საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და დასაქმებული პირების რეპუტაციის დაცვის მიზნით:
- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროსთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემის სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ:

- ✓ ვიდეოჩანაწერი 1-ის ვიდეოჩანაწერა განხორციელდა 2019 წლის 19 აპრილს, ვიდეოჩანაწერი 2-ის - 2019 წლის 26 დეკემბერს, ვიდეოჩანაწერი 3-ის - 2019 წლის 21 ივნისს, ხოლო ვიდეოჩანაწერი 4-ის - 2019 წლის 18 იანვარს;
- ✓ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია წინასწარ გააფრთხილოს მონაცემთა სუბიექტი ვიდეოჩანაწერის გზით მონაცემების დამამუშავების თაობაზე;
- ✓ ვიდეოჩანაწერი 1, ვიდეოჩანაწერი 3 და ვიდეოჩანაწერი 4 სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამინისტროს გადაეცა - 2019 წლის 19 ნოემბერს, ხოლო, ვიდეოჩანაწერი 2 - 2020 წლის 17 იანვარს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა. კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არაუგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია - არაუგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

ამავე საკითხთან მიმართებით ასევე გასათვალისწინებელია, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 05 დეკემბრის დადგენილება, რომლის თანახმად, სასამართლომ გააუქმა პერსონალურ

მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის („სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორი და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური წარმოადგენენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლეს) მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რადგან შესაძლო სამართალდარღვევის თაობაზე მსჯელობას ადგილი ჰქონდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს და მოცემული მომენტისთვის - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას ეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული ვადისა და ამავე კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულირების გათვალისწინება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან შემოწმების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციითა და დოკუმენტაციით დგინდება, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ვიდეოჩანაწერების 1-ის, 2-ის, 3-ის და 4-ის ვიდეოჩანაწერიდან, ამასთან, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის თაობაზე მონაცემთა სუბიექტთა ინფორმირებიდან, ისევე როგორც, ვიდეოჩანაწერთა სამინისტროსთვის გადაცემიდან დღემდე გასულია ორ თვეზე მეტი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ვიდეოჩანაწერ 1-თან, 2-თან, 3-თან და 4-თან დაკავშირებული მონაცემთა მოპოვების, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის თაობაზე მონაცემთა სუბიექტთა ინფორმირებისა და ვიდეოჩანაწერების სამინისტროსთვის გადაცემის კანონიერება. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ვერ განხორციელდა აღნიშნულ საკითხთა შეფასება, სახელმწიფო ინსპექტორის ინიციატივით, 2020 წლის 20 მარტის №03/38 ბრძანების საფუძველზე მიღებულ იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის შემოწმების გადაწყვეტილება, პენიტენციურ დაწესებულებებში ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შედეგად მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-5, 43-ე და 55-ე მუხლების და „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-5, მე-13, მე-15 და მე-16 მუხლების საფუძველზე,

**სახელმწიფო ინსპექტორმა გადაწყვიტა:**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს

ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000017.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000019.
3. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: საბაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242.
4. დაევალოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში უზრუნველყონ სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდებსა და ოფიციალურ ვებგვერდზე შემოწმების ფარგლებში განხილული პერსონალური მონაცემების შემცველი იმ ვიდეოჩანაწერების წაშლა ან დეპერსონალიზაცია, რომელიც წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად მიჩნეულ იქნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავებულად.
5. ეცნობოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
6. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

ლონდა თოლორაია

სახელმწიფო ინსპექტორი

